



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ქართული ფილოლოგია

პროგრამის სახელწოდება

ქართული ფილოლოგია

აკადემიური განათლების საფეხური

მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდი

ქართული ფილოლოგიის მაგისტრი (0232)

MA in Georgian Philology (0232)

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი;

- საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;

- უცხო ენის (ინგლისურ, გერმანული, ფრანგული, რუსული) ცოდნა **B2 დონეზე**. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც უცხოენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, შესაძლებელია, შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა. ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sangu.edu.ge.

- გამოცდა სპეციალობაში.

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც აქვს მეტი სამეცნიერო თუ საექსპედიციო აქტივობა (სამეცნიერო პუბლიკაცია, საველე სამეცნიერო ექსპედიცია).

სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით მაგისტრის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი და მოიცავს 120 ECTS კრედიტს; კერძოდ:

სასწავლო კომპონენტი - 90 ECTS კრედიტი; მათ შორის:

12 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები;

42 კრედიტი - ა და ბ სპეციალიზაციების სავალდებულო საგნები;

36 კრედიტი - თავისუფალი კრედიტების მოდული. ამ სასწავლო კურსების სიაშია ენის/დიალექტის შემსწავლელი პრაქტიკული კურსებიც; სამეცნიერო ინტერესის მიხედვით 24 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ან ზანური და სვანური ზეპირი ქართველური ქვესისტემების პრაქტიკული კურსი, ან აფხაზურ ენა, ან ოსური ენა; ასევე, რომელიმე მეზობელი ხალხის ენა (თურქული, სომხური, სპარსული...). არჩევითი საგნები საერთოა პროგრამის ორივე სპეციალიზაციის სტუდენტებისთვის და მაგისტრანტს შეუძლია აირჩიოს მათგან ნებისმიერი, მიუხედავად იმისა, რომელ რომელ სფეროს ეუფლება ის.

სამეცნიერო კომპონენტი /სამაგისტრო ნაშრომი/ - 30 ECTS კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი:

მანანა ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის პროფესორი; ტელ.: + 995 32 232 -16 -39; + 599 96 92 70; ელ.-ფოსტა: mananatabidze@gmail.com

პროგრამის აქტუალურობა

საგანმანათლებლო პროგრამის: „ ქართული ფილოლოგია“ აქტუალურობას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი:

1. მსოფლიოს უძველეს კულტურებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურაა ქართული კულტურა, რომლის ხერხემალს წარმოადგენს თხუთმეტსაუკუნოვანი უწყვეტი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართული სამწიგნობრო ენა. ეს ენა თვისებრივად ერთნაირად იქმნებოდა ცენტრალურ კავკასიაში არსებული საქართველოს სახელმწიფოს ყველა კუთხეში (სამეგრელოშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც, ჰერეთშიც, ქართლ-კახეთშიც...); შესამაბისად, **თანამედროვე მეთოდოლოგიითა და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების** გათვალისწინებით, ერთი მხრივ, ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ენობრივი ქვესისტემების ფონემატური სტრუქტურის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის **შესწავლა-სწავლებას**, მეორე მხრივ კი, ქართულ

ენასთან მიმართებით მონათესავე კავკასიური ენებისა და წინა აზიის ძველი ცივილიზაციის ენების შესწავლას, **დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის, ისე, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიისათვის.**

2. ქართული მწერლობის, როგორც კულტურული ფენომენის, უნიკალურობას დიდწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საუკუნეთა განმავლობაში მის წიაღში ხდებოდა სინთეზირება აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურულ-ესთეტიკური და კულტურული ტენდენციებისა. ქართულ მწერლობაში ნაირგვარად აისახა ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურულ-სააზროვნო ტრადიციები, ის მარადიული, ზნეობრივი ღირებულებები, რომლებსაც კაცობრიობის შეგნებული ნაწილისათვის მუდამ სახელმძღვანელო მნიშვნელობა ექნება. სამოცდაათწლიანმა საბჭოთა რეჟიმმა, რომელმაც ლიტერატურათმცოდნეობაში ერთადერთ კვლევით მეთოდად ვულგარული სოციოლოგიზმი გააბატონა, დიდად შეაფერხა ქართული ლიტერატურის შესწავლა და ხელი შეუწყო მეცნიერების ამ დარგის პროფანაციას. შესაბამისად, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის **აქტუალურობას დიდწილად განსაზღვრავს** ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული ყალბი სტერეოტიპების გადაფასებისა და ქართული კლასიკური მწერლობის თანამედროვე მეთოდოლოგიებით შესწავლის აუცილებლობა.

3. ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს სახელმწიფო ენა და საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციის საუკეთესო კულტურული ველია, შესაბამისად, **ახალი თაობის ენათმეცნიერების აღზრდით დროულად უნდა მომზადდეს ინტელექტუალური ბაზისი, რომ გადაიჭრას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შემდეგი სამი ამოცანა:**

3.1. საბჭოთა პერიოდში შექმნილი ლინგვისტური იდეოლოგიებისა და პოლიტიზებული დებულებების დაბალანსება;მაგ., უცხოელი თუ ქართველი მეცნიერების მიერ საბჭოური სქემების საფუძველზე შექმნილი რუკების მიხედვით ქართული ენის დასავლეთი საზღვარი მხოლოდ აბაშა-მარტვილისა და ლენტეხის რაიონებამდეა. სინამდვილეში, ქართული ენა დედაენაა ყველა ქართველისათვის, შესაბამისად, მისი გავრცელების არეალი ისტორიულად მოიცავდა და ახლაც მოიცავს სამეგრელოსაც, სვანეთსაც და ისტორიულ ტაო-კლარჯეთსაც.

3.2. ქართული ენის გადაქცევა თანამედროვე ნანოტექნოლოგიების ენად;კერძოდ, დღეს აქტუალურია კულტურული ენის ტექნოლოგიზება; შესაბამისად, აუცილებელია მომზადდნენ ქართველი სპეციალისტები, მათ შორის ენათმეცნიერები, რომლებიც დროულად გადაჭრიან ტექსტის ავტომატური გახმოვანების თუ ზეპირი მეტყველების ავტომატური აკადემიური თარგმანის პრობლემას.

3.3. ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამდიდრება ზუნებრივი გზით; კერძოდ: ინტერნეტის ეპოქაში მსოფლიოს ენათა უმრავლესობაში ინტენსიურდება დიდი სახელმწიფოების ენების გავლნები; ქართული ენაც მიმდებარე ბარბარიზმებით. **ჩვენს სინამდვილეში ლექსიკისა თუ სიტყვაწარმოების ულევ მარაგს ქმნის ქართველურ ქვესისტემებში შემონახული მასალა;** შესაბამისად, უნდა მომზადდეს მეცნიერთა ისეთი ახალი თაობა, რომელიც უზრუნველყოფს სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამრავალფეროვნება-გამდიდრებას ქართველური დიალექტური /სვანური, მეგრულ-ლაზური, მესხური, ხევსურული, თუშური, აჭარული, რაჭული, ქართლური, კახური.../ მასალით.

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტი აღჭურვისითი ცოდნით, რომელიც კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს, ჩამოაყალიბოს ახალი, ორიგინალური ხედვები და იდეები ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით. მიღებულისა უნივერსიტეტო განათლება კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, მისცემს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების კომპეტენციას. პროგრამა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადებაზე, რომელსაც ექნება დარგის სისტემური აკადემიური ცოდნა:

- ქართველთა სამწიგნობრო კულტურის ისტორიული დინამიკის შესახებ;

- საერთოქართველურ და ქართულ სამწიგნობრო ენებთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის...) ფონემატური და გრამატიკული სტრუქტურების მიმართებისა და ქართული სამწიგნობრო ენის დიალექტური ლექსიკით გამდიდრების შესახებ (ამ მიმართულებით გააზრებული ექნება ქართველური კილოური ჯგუფების - მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის, ჰერულის, მესხურის, ფერეიდნულის, "ჩვენებურების ქართულის" და ცენტრალური კილოების - ლექსიკურ მონაცემთა მნიშვნელობა და როლი).

- თეორიული ენათმეცნიერების, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხებისა და სოციოლინგვისტიკის თანამედროვე პრობლემების, ასევე, კავკასიის/საქართველოს ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ; საქართველოში და საქართველოს მეზობლად არსებული ენების შესახებ (ენების არჩევის შემთხვევაში შეეძლება რომელიმე მათგანის გამოყენება ქართულთან შეპირისპირებითი კვლევის პროცესში/.

- ენის ტექნოლოგიზების თანამედროვე გამოწვევების შესახებ; კერძოდ, ქართული სამწიგნობრო ენის ფონემატური სტრუქტურის, სახელური და ზმნური პარადიგმების, წინადადების მოდელირების პრინციპების შესახებ;

- ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპებისა და ნორმალიზაციის ისტორიის შესახებ;

- ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების, ჟანრების, მხატვრული და მსოფლმხედველობრივი თავისებურებების შესახებ;

- შუა საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობის დარგებისა და ძირითად ძეგლებთან დაკავშირებული ისტორიული, ფილოლოგიური და თეოლოგიური პრობლემების შესახებ;

- „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სტრუქტურის, მსოფლმხედველობის, სიუჟეტური და კომპოზიციური თავისებურებების, პოეტიკისა და მხატვრული ენის შესახებ;

- აღორძინების ხანის ქართველ მწერალთა შემოქმედების ძირითადი ტენდენციების და სახისმეტყველებითი თავისებურებების შესახებ;

- XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემისა და თემატიკის, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პოეტიკის შესახებ;

- XX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების ეტაპების, შემოქმედებითი პრობლემისა, XX საუკუნის ქართულ მწერლობაში გამოვლენილი ლიტერატურული მიმდინარეობების თავისებურებათა შესახებ.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მაგისტრანტს გამოუმუშავოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქართველოლოგის, ასევე, ან პრაქტიკოსი ფილოლოგ-ენათმეცნიერის, ან ფილოლოგ-ლიტერატურათმცოდნის უნარ-ჩვევები; კერძოდ, ჩამოაყალიბოს ისეთი ფილოლოგი მკვლევარი, რომელსაც ექნება ან ქართველური ენათმეცნიერების, ან ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი, სისტემური ცოდნა და შეეძლება დარგის საკვანძო საკითხების კვლევა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მიდგომათა გათვალისწინებით.

მიზნიდან გამომდინარე, სავალდებულო სასწავლო კურსები გაეყავით სამ ნაწილად:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები;
- ქართველური ენათმეცნიერების /(ა) სპეციალიზაციის/ სავალდებულო კურსები;
- ქართული ლიტერატურის ისტორიის /(ბ) სპეციალიზაციის/ სავალდებულო კურსები.

თითოეული სპეციალიზაციის მიმართულებით სტუდენტს დამატებით აქვს შესაძლებლობა, მრავალრიცხოვანი არჩევითი კურსებიდან აირჩიოს 36 კრედიტის მოცულობის არჩევითი საგნები.

კვლევის სავარაუდო თემატიკა. ქართულ უნივერსიტეტში აფილირებული პროფესორებისა და პროგრამის განმახორციელებლების საკვლევი პრობლემის შესაბამისად, მაგისტრანტის საკვლევი ველი შეიძლება იყოს შემდეგი მიმართულებები (რომელთა ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა):

- ქართული სამწიგნობრო ენისა და ზეპირი ქართველური ქვესისტემების ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა (დიასისტემური ანალიზი);
- ქართველური მონაცემების შეპირისპირებითი ანალიზი მონათესავე იბერიულ-კავკასიურ და არამონათესავე ენებთან;
- ქართველური სამწიგნობრო ენის ტექნოლოგიზება;
- ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირება;
- საქართველოს ენობრივი სიტუაცია;
- ცალკეული ქართველური ენობრივი ქვესისტემების (სვანური, მეგრულ-ლაზური, რაჭული, მესხური, ფხოური, ჰერული...) ახალი ტექსტების ჩაწერა და მონოგრაფიული ანალიზი /ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსისათვის) და სხვ.
- შუა საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიისა და ტიპოლოგიზაციის საკითხები;
- „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, პოემის პრობლემატიკა, რუსთველის მსოფლმხედველობა და სახისმეტყველება.
- აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის ისტორია;
- XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია;
- XX საუკუნის ქართული მწერლობის პრობლემატიკა;
- ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ისტორია;
- ქართული ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების ისტორია;
- ქართულ-აღმოსავლური და ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ ქართული ფილოლოგიის დისციპლინაში; შესაბამისად,

შეუძლია:

- I. ქართველოლოგიის დაგეგმვის სტრატეგიებზე, დარგის თანამედროვე გამოწვევებზე, ქართველთა ენობრივი და ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივასთან დაკავშირებულ საკითხებზე აკადემიური მსჯელობა;
- II. ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული განსახვავებული სამეცნიერო თვალსაზრისების შეჯერება, სისტემატიზება, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული აკადემიური დასკვნების გამოტანა; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; სხვათა კვლევების გათვალისწინებით თავისი კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა (პლაგიატისაგან თავის დაზღვევა) და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; თემატურ დებატებში მონაწილეობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
- III. ქართველური ენათმეცნიერების, კავკასიური/პალეოკავკასიური ენების კვლევისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროებში არსებული ნაშრომების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების შეფასება; საკუთარი დამოკიდებულების გამომუშავება და წვლილის შეტანა ქართველოლოგიის სფეროში ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.

ა სპეციალიზაციის არჩევის შემთხვევაში:

IV. ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემატური და გრამატიკული სტრუქტურების ანალიზი ქართული ენის ტექნოლოგიზების მიზნის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით კვლევის წარმოება.

V. თეორიული ენათმეცნიერების პრობლემების, სოციოლინგვიტიკისა და ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით აკადემიური მსჯელობის წარმართვა; საქართველოს მოსახლეობის სოციოლინგვისტური დახასიათება; ენობრივი სტრატეგიის, საქართველოს მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციისა და ენობრივი ორიენტაციის კვლევა;

VI. ქართული სამწიგნობრო ენის განვითარების ისტორიულ დინამიკის ამსახველი და სხვა პალეოკავკასიური ენების მონაცემების გათვალისწინებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

ბ სპეციალიზაციის არჩევის შემთხვევაში:

VII. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპების, ამ ეტაპთა დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი და პოეტიკური თავისებურებების, ლიტერატურული ჟანრების, ეპოქის მხატვრული ძეგლების პრობლემატიკისა და სახისმეტყველების დახასიათება.

VIII. XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკისა და მხატვრული აზროვნების თავისებურებათა გაანალიზება რომანტიზმისა და რეალიზმის პოეტიკის ჭრილში;

IX. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხების განხილვა შესაბამისი ეპოქის ლიტერატურულ-თეორიული აზროვნებისა თუ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ესთეტიკის კონტექსტში, ფოლკლორული შემოქმედებისა და ქართული მწერლობის ურთიერთმიმართების საკითხების შესახებ მსჯელობა.

სწავლა-სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები

სწავლების მეთოდები – ლექცია, სემინარი, რეფერატის მომზადება, ელექტრონული სწავლება (ელექტრონული კონსულტაცია, დავალების შემოწმება...), სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა /კონსულტაცია/, **სამაგისტრო ნაშრომი**.

სწავლების აქტივობები (შედეგების მიღწევის მეთოდები):ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრეზენტაცია, წერითი მუშაობის მეთოდი /ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, რეფერატის მომზადება და ა.შ./, პრაქტიკული/სემინარული მუშაობის მეთოდები, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა. დემონსტრირების მეთოდი. ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. ელექტრონული სწავლება (E-learning) /დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით/.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ფორმები: შუალედური შეფასება (საპრეზენტაციო მოხსენებისა და სალექციო თემების გააზრების პერიოდული შეფასება; შუალედური გამოცდა), დასკვნითი გამოცდა. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები: პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული წერითი დავალების შესრულება...

სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დადებითი შეფასებებია:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს:

შუალედური შეფასება - 60 ქულა: შუალედური გამოცდა - 30 ქულა; 10-ქულიანი სამი პრეზენტაცია/სამეცნიერო ესე (სულ 30 ქულა).

დასკვნითი გამოცდა (სავალდებულო) - 40 ქულა.

შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა; პრეზენტაცია/რეფერატი/საკურსო კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 4 ქულა; მიმდინარე გამოკითხვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა;

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიიღოს არანაკლებ 21 ქულა.

შუალედური გამოცდა ჩატარდება მე-8-მე-9 სასწავლო კვირების განმავლობაში;
პრეზენტაციები ტარდება პირველი შუალედური გამოცდის დასრულებიდან დასკვნით გამოცდამდე პერიოდში;
დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-მე-19 სასწავლო კვირების განმავლობაში;
დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გაცნობიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

სასწავლო კურსების ცოდნისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების წესი /საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით/ წარმოდგენილია შესაბამის სილაბუსებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში ენათმეცნიერების, ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ზოგადად, ფილოლოგიის (/ჰუმანიტარული მეცნიერებების) მიმართულებით. მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მას დაეხმარება მეცნიერული კვლევა-ძიება აწარმოოს ქართველოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროებში; ასევე, ქართულ-სპარსული, ქართულ-სომხური, ქართულ-აფხაზური... ენობრივი ურთიერთობების კვლევის მიმართულებით, შესაბამისად, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში რამდენიმე სპეციალობის მიხედვით: ქართველური ენათმეცნიერება, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, კავკასიის არეალური ლინგვისტიკა, ქართველოლოგია-კავკასიოლოგია, შედარებითი ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა, კულტუროლოგია, ქართულ-სპარსული, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური... ენობრივი ურთიერთობების კვლევა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართულ-ევროპული და ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია დასხვ.

დასაქმების სფეროები

"ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება მუშაობა:

- უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე,
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ დამემორიალურ მუზეუმებში;
- საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკაში და არქივში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- ენობრივი პოლიტიკის ექსპერტად;
- ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციაში და სხვა მსგავს დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ქართველოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკა სრულადაა დაკომპლექტებული მაგისტრატურაში საჭირო იმ ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურით, რომლებიც აუცილებელია მაგისტრანტის სწავლებისა და სამაგისტრო თემების დასამუშავებლად. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არქივში დევს საჭირო ელექტრონული რესურსები /ახალი გამოკვლევები, საანალიზო მასალა, ზოგ შემთხვევაში კი - მისამართები/.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აუდიტორიები /სადაც მომზადდებიან მაგისტრები/ კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით /კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი.../; უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიის ცენტრი (სადაც ექსპედიციებით მოპოვებულ ლინგვისტურ/დიალექტოლოგიურ ემპირიულ თუ სხვა სახის საანალიზო მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე იმუშავებენ სტუდენტები) აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა /ახალი თაობის კომპიუტერები, პრინტერი.../ და ინტერნეტქსელით; სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი იქმნება მაგისტრანტების მიერ მიღებული გრანტებისა და გადასახადებისაგან. სამაგისტრო პროგრამის ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტის, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფარგლებში და პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გარდა მოიცავს მაგისტრანტთა ანაზღაურებას, პრეზენტაციების, სამეცნიერო კონფერენციების, ექსპედიციებისა და ექსკურსიების მოწყობას. სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად სტაბილურია/მდგრადი, ხოლო შემოსავლები და ხარჯები/გასავალი მყარადაა დაბალანსებული. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, მომზადდეს ისეთი მაგისტრი, რომელიც მზად იქნება როგორც შრომითი საქმიანობისათვის, ასევე სწავლის გასაგრძელებლად უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში).

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სპეციალობის მიხედვით მრავალფეროვან სასწავლო კურსებს, რომლებიც სტუდენტს მისცემს აკადემიურ განათლებას (ცოდნას) ქართველური ენათმეცნიერების, ქართული სამწიგნობრო ენის მოდელირების, ზოგადი ენათმეცნიერების, იბერიულ-კავკასიური, სამხრეთ კავკასიური თუ პალეოკავკასიური ენების, კავკასიის/საქართველოს ენობრივი სიტუაციის... მიმართულელებით; სტუდენტს ასევე, შეუძლია 24-კრედიტის ფარგლებში შეისწავლოს ზეპირი ქართველური მეტყველებები, ან აფხაზური ენა, ან რომელიმე მეზობლის ენა.

სამეცნიერო კომპონენტი /სამაგისტრო ნაშრომი/ - 30 კრედიტი.

სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცება ხდება მესამე სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია ქართველური ენათმეცნიერების, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკისა, ზოგადი ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ფარგლებში კონკრეტული სამეცნიერო თემის აკადემიურ დამუშავებაზე, თუმცა, წარმოაჩენს იმ ცოდნასა და უნარებსაც, რომელსაც მაგისტრანტი ეუფლება ფილოლოგიაში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსებით.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (12 კრედიტი) და ორი სპეციალიზაციის (42 კრედიტი) სასწავლო კურსები

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (12 კრედიტი)				
არა აქვს	სამეცნიერო წერის საფუძვლები და სამაგისტრო ნაშრომის აგების პრინციპები Fundamentals of Scientific Writing and Principles of Master's Thesis	ფილ. დოქტორი თ. თურქია	6	
არა აქვს	ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები Contemporary Challenges of the Kartvelology	ფილ. მეც. დოქტორი პროფ. მ. ტაბიძე ფილ. დოქტორი ლ. ბებურიშვილი	6	

ა) სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები: ქართველური ენათმეცნიერების მიმართულება (42 კრედიტი)				
არა აქვს	ქართველური ფონემატური სტრუქტურა Kartvelian Phonemic Structure	ფილ. დოქტორი ნ. ფუტკარაძე ფილ. დოქტორი ს. კეკელიძე	6	
არა აქვს	თეორიული ენათმეცნიერების პრობლემები Problems in Theoretical Linguistics	ფილ. მეც. დოქტორი პროფ. თ. გვანცელაძე	6	
არა აქვს	ქართული სამწიგნობრო ენის სახელური და ზმნური ყალიბები (ქართული ენის ტექნოლოგიების მიზნის გათვალისწინებით) Noun and Verb Forms of the Georgian Literary Language (taking into account the purpose of Georgian language technologies)	ფილ. დოქტორი პროფ. ნ. ფუტკარაძე		6
არა აქვს	საერთო წარმომავლობის სემანტიკური ჯგუფები იბერიულ-კავკასიურ ენებში Semantic Groups of Common Origin in the Ibero-Caucasian Languages	ფილ. მეც. დოქტორი, პროფ. მ. ჩუხუა		6
არა აქვს	სოციოლინგვისტური კვლევის მეთოდები Sociolinguistic Research Methods	ფილ. მეც. დოქტორი პროფ. მ. ტაბიძე		6
არა აქვს	ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები Basic Problems of Normalization of the Georgian Literary Language	ფილ. მეც. დოქტორი, პროფ. მ. ტაბიძე	6	
არა აქვს	ქართული ენის სინტაქსის კომპიუტერული მოდელირების ძირითადი საკითხები Basic Issues of Computer Modeling of Georgian Language	ფილ. მეც. დოქტორი ო. კაპანაძე	6	
ბ) სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები: ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულება (42 კრედიტი)				
არა აქვს	ძველი ქართული სასულიერო მწერლობა Old Georgian Sacred Literature	პროფ. გ. ალიბეგაშვილი, პროფ. ე. დულაშვილი	6	
არა აქვს	ქართული რომანტიზმი Georgian Romanticism	ფილ. დოქტ. ლ. ბებურიშვილი	6	
არა აქვს	XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა Georgian Literature of XVI-XVIIIth Centuries	ფილ. დოქტ. ი. ამირხანაშვილი		6
არა აქვს	„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტობრივი ანალიზი Textual analysis of The Man in the Panther's Skin	ფილ. დოქტ. ი. ამირხანაშვილი		6
არა აქვს	ქართული კლასიკური რეალიზმი Georgian Classical Realism	ფილ. დოქტ. ლ. ბებურიშვილი		6
არა აქვს	XX საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი პრობლემები General Problematics of XXth Century Georgian Literature	ფილ. მეცნ. დოქტორი ა. გომართელი	6	

არა აქვს	ფოლკლორი და ლიტერატურა Folklore and Literature	ფილ. მეცნ. დოქტორი ა. არაბული	6	
----------	---	-------------------------------	---	--

თავისუფალი სასწავლო კრედიტების მოდული (36 კრედიტი)

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები				
არა აქვს	ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები Issues in the History of Georgian Terminology	ფილ. დოქტორი ლ. ქაროსანიძე	6	
არა აქვს	ქართველური ონომასტიკა Kartvelian Onomastics	ფილ. დოქტორი მ. ლაბაძე		
არა აქვს	ენობრივი კონტაქტების ზოგადი პრობლემატიკა და ქართული ენის ისტორიული კონტაქტები General Problems of Language Contacts and Historical Contacts of the Georgian Language	ფილ. დოქტორი მ. ლაბაძე		
არა აქვს	ქართველური ენა-კილოების სინტაქსური თავისებურებანი Syntactic Features of the Kartvelian Language-dialects	ფილ. დოქტორი მ. ლაბაძე		
არა აქვს	ქართული ენის თავისებურ ზმნათა პარადიგმები Paradigms of Peculiar Verbs of the Georgian Language	ფილ. დოქტორი, ნ. ფუტყარაძე		
არა აქვს	ქართული ენის სტილისტიკის აქტუალური პრობლემები Current Problems of the Georgian Language Stylistics	ფილ. დოქტორი ი. ვაშაკიძე		
არა აქვს	თანამედროვე ლინგვისტური თეორიები Modern Linguistic Theories	ფილ. დოქტორი მ. ლაბაძე		
არა აქვს	ლექსიკოლოგიის ტიპოლოგიური ასპექტები Typological Aspects of Lexicology	ფილ. დოქტორი მ. ლაბაძე		
არა აქვს	პოლიტიკური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი Linguistic Analysis of Political Documents	ფილ. დოქტორი თ. ლომაძე		
არა აქვს	ქართველთა ენობრივი ისტორია Linguistic History of Georgians	ფილ. მეც. დოქტორი, პროფ. მ. ტაბიძე		
არა აქვს	კომპიუტერული ლინგვისტიკის ძირითადი საკითხები	ფილ. მეც. დოქტორი ო. კაპანაძე		

	Basic Issues in Computer Linguistics	
არა აქვს	ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობები Georgian-Persian Language Relations	ფილ. დოქტორი ნ. ბართაია
არა აქვს	ქართულ-აღმოსავლური (ქართულ-სპარსული, ქართულ-არაბული, ქართულ-თურქული) ლიტერატურული ურთიერთობები Georgian-Oriental (Georgian-Persian, Georgian-Arabic, Georgian-Turkish) Literary Relations	ფილ. მეც. დოქტორი, ნ. ბართაია, მოწვ. ლექტორი, მ. ნანობაშვილი, ფილ. დოქტორი, მ. ბუსკვიაძე
არა აქვს	ქართულ - ბერძნული ენობრივი ურთიერთობები Georgian - Greek Language relations	მოწვ. ლექტ. ნ. მახარაძე
არა აქვს	ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები Georgian-Turkish Language Relations	მოწვ. ლექტ. შ. გაბესკირია
არა აქვს	ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობები Georgian-Armenian Language Relations	მოწვ. ლექტ. შ. გაბესკირია
არა აქვს	კორპუსის ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები Current Problems of Corpus Linguistics	ფილ. მეც. დოქტორი ო. კაპანაძე
არა აქვს	ექსპერიმენტული ფონეტიკა და მეტყველების ამოცნობა Experimental Phonetics and Speech Recognition	მოწვ. სპეც. ზ. ბარათაშვილი
არა აქვს	ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკა Historical Grammar of Georgian Literary Language	ფილ. მეც. დოქტორი პროფ. მ. ტაბიძე
არა აქვს	ქართველური დიალექტოლოგიის თეორიული კურსი Theoretical Course in Kartvelian Dialectology	ფილ. დოქტორი ნ. ფუტყარაძე ფილ. დოქტორი მ. ლაბაძე
არა აქვს	ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი გრამატიკა Comparative grammar of the Kartvelian language-kilos	ფილ. მეც. დოქტორი მ. ჩუხუა
არა აქვს	ტექსტის ლინგვისტური თეორია და ლინგვოპრაგმატიკა Text linguistic theory and linguistic pragmatics	ფილ. დოქტორი თ. თურქია
არა აქვს	ლინგვოკულტუროლოგია Linguoculturology	ფილ. მეც. დოქტორი მ. ტაბიძე
არა აქვს	ენობრივი კონფლიქტები კავკასიაში Language Conflicts in the Caucasus	ფილ. მეც. დოქტორი თ. გვანცელაძე
არა აქვს	ლინგვოკონფლიქტოლოგიის ზოგადი პრობლემატიკა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში General Problems of Linguoconflictology and Linguistic Situation in Georgia	ფილ. მეც. დოქტორი პროფ. მ. ტაბიძე
არა აქვს	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები	ფილ. მეც. დოქტორი, პროფ. თ.

